საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-25-45) 30 ოქტომბერი 2012 წელი

დადგენილება №33

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^5 მუხლის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. დადგინდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-თ გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, სასყიდლით გადაცემისას, საწყისი წლიური ქირის ოდენობა:

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე:

ა) ცენტრალურ ზონაში 1 კვ. მ-ზე 5.9904 ლარი;

ბ) შუალედურ ზონაში 1 კვ. მ-ზე 1.9968 ლარი;

გ) პერიფერიულ ზონაში 1 კვ. მ-ზე 1.7472 ლარი.

დ) დაბა ურეკის სარეკრიაციო ზონაში 1 კვ. მ-ზე 21.9648 ლარი;

ე) მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე 1 კვ. მ-ზე 0,539136 ლარი.

მუხლი 2. დადგინდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით სასყიდლით გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობა უძრავ-მოძრავი ქონების საბალანსო ნარჩენი ღირებულების 5%-ით, ან/და დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ შეფასებული ქონების ღირებულების 5%-ით.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 21 დეკემბრის N109 დადგენილება.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer